ურთიერთგაგების მემორანდუმი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის დახვეწისა და სოციალური დაცვის სისტემის უფრო მეტად ბავშვზე ორიენტირების შესახებ

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (მინისტრის - დავით სერგეენკოს სახით), სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (დირექტორის - ნოე ქინქლაძის სახით) და გაეროს ბავშვთა ფონდი (საშა გრაუმანის სახით) შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი ვხელმძღვანელობთ რა მხარეთა თანასწორობის პატივისცემით და ვითვალისწინებთ რა სოციალური დახმარების სისტემის რეფორმირების, ბავშვებისა და ბავშვიანი შინამეურნეობების საჭიროებების უკეთ ასახვისა და ბავშვთა სარგებლის მნიშვნელობას, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) უზრუნველყოფს:

- მემორანდუმის მხარეებთან ერთად, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გადახედვას და დახვეწას საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, რათა პროგრამა უკეთ ასახავდეს ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს;
- სამუშაო ჯგუფის საქმიანობის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფას;
- საჭირო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას ოთხი ექსპერტისთვის (კონსულტანტისთვის), რომელთაც დაიქირავებს გაეროს ბავშვთა ფონდი ზემოთ აღნიშნული მიზნით;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან კოორდინაციას, სოციალური დახმარების სისტემის გადახედვისთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის მიზნით;
- მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გადასინჯვისას იდენტიფიცირებული ახალი მეთოდოლოგიის, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახებისთვის სარგებლისა და სოციალურ აგენტსა და სოციალურ მუშაკს შორის რეფერირების მექანიზმის საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

- საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავებას სისტემაში შემოთავაზებული ცვლილებების საფუძველზე;

ბ) სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტო" (შემდგომში -სააგენტო) მისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

- მხარეებთან ერთად, მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის გადასინჯვისა და დახვეწის ხელშეწყობას;
- სამინისტროს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას;
- გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაქირავებული ექსპერტებისათვის შემდეგი მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობას:
  - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა (2005 წლიდან წარმოებული, მუდმივად განახლებადი, სახელმწიფო გასაცემლების განაწილებისათვის გამოყენებადი მოქმედი მონაცემთა ბაზა);
  - მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ჩატარებული შინამეურნეობის კვლევის შედეგად შექმნილი მონაცემთა ბაზა, რომელიც შემუშავდა მიზნობრივი დახმარების პროგრამის მონიტორინგისა და მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით 2007 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარებული წინასწარი სამუშაოების დროს;
  - მიზნობრივი დახმარების სისტემის დახვეწის მიზნით 2010 წელს ჩატარებული სამუშაოს დასკვნის შედეგები, ზემოაღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო და სააგენტოს მფლობელობაში არსებული სხვა რელევანტური მონაცემთა ბაზები.

ე) გაეროს ბავშვთა ფონდი, მისი მანდატის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

- ტექნიკურ დახმარებას, ამ მემორანდუმის მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- აღნიშნული მიზნების განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით ოთხი კონსულტანტის დაქირავებას;
- სამინისტროს, სააგენტოს, კონსულტანტებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირებას;
- შეთანხმებული ქმედებების მონიტორინგსა და ზედამხედველობას;
- შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში, ფინანსური დახმარების გაწევას სოციალური დახმარების სისტემის რეფორმისათვის ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების უკეთ გათვალისწინების მიზნით.

მუხლი 2

მხარეებს შეუძლიათ, ერთობლივი შეთანხმებით, შექმნან სამუშაო ჯგუფები. საჭიროების შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მოიწვიონ სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ან მესამე მხარე, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 3

მხარეთა შეთანხმებით, აღნიშნულ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები. ცვლილება წარმოადგენს წინამდებარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 4

1. წინამდებარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ძალაში შევა ყველა მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ, უკანასკნელი მხარის მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან განუსაზღვრელი ვადით.

2. თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. მემორანდუმის მოქმედება ძალადაკარგულად გამოცხადდება შეტყობინების მიღების დღიდან.

მუხლი 5

მემორანდუმი წარმოდგენილია ექვსი იდენტური იურიდიული ძალის მქონე ასლით, სამი ქართულ და სამი ინგლისურ ენებზე. ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის შესაძლო შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

ხელმომწერები:

სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მის: აკ. წერეთლის გამზირი №144, 0159, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 510 047; 2 510 048; 2 510 049

მინისტრი

დ.სერგეენკო

სააგენტო

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“
მის: აკ. წერეთლის გამზირი №144, 0159, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 510 047; 2 510 048; 2 510 049

დირექტორი

ნ.ქინქლაძე

გაეროს ბავშვთა ფონდი

მის.: ერისთავის № 9, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 23 23 88

წარმომადგენელი

ს.გრაუმანი